№ 214
ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 1898 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

ივერია

№ 214
ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. დასტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. 10½—11½ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11½—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. შ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1½—2½ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—5)

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნენ: სასულიერო სემინარიების მასწავლებელნი: ტვერისა ტრელინი და ალექსანდრეს სამისიონეროსი—კასაბიევი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში პირველი-სადოგმატო და საზნეობო ღვთის მეტყველების მასწავლებლად, ხოლო მეორე გომილეტიკის მასწავლებლად; გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი აბესალოვი—სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიის და ანგარიშის მასწავლებლად; ბარხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი რაჟდენ ტყაბლაძე—ბათუმის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნით, ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი იეროთეოზ თივაძე.

უმაღლესი ბრძანება

თავადთა ოთარაშვილებსა და დადეშკელიანებს შორის ბეჩოდ წოდებულ მამულის გამო ატეხილ დავის შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენების მოსმენის შემდეგ, 1898 წლის 25 აპრილს თავ. ოთარაშვილებისა და დადეშკელიანის დავის შესახებ ქუთაისის გუბერნიის ბეჩოს მამულის გამო, მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა:

1) მიეცეთ „ნადელად“ ბეჩოს მამულის გლეხებს, რიცხვით 114 კომლს, მიწა, თითო კომლს ათ-ათი ქცევა;

2) დაენიშნოს თავად ივანე დადეშკელიანს ჯილდო ხაზინიდგან ას-ასი მანეთი თითო მამაკაცის სულის განთავისუფლებისა და იმ მიწისათვის, რომელიც ამ გლეხებს ნადელად მიეცემათ 363 სულის კვალობაზედ, საერთო რიცხვით სულ ოცდა თექვსმეტი ათასი მანეთი.

3) თავად ოთარაშვილის უზრუნველსაყოფელ ფულის რაოდენობად აღნიშნულ იქმნას ოცდა თექვსმეტი ათასი მანეთი, ამას გარდა იმათ საშვილიშვილო სამფლობელოდ დარჩენილ იქმნას სადგომი სახლი, რომელიც ბეჩოს მამულში იმყოფება, ყოველისავე შენობებით, სახნავ და სათიბ ადგილებით, სულ 38 დესეტინა 239 ოთხ-კუთხი საჟ., აგრეთვე ნება მიეცეთ მათ ისარგებლონ თავიანთის კერძო საჭიროებისათვის ტყითა და ბეჩოს საძოვარ ადგილებით.

4) თავადი ივანე დადეშკელიანისათვის ხაზინიდგან მისაცემი ფული, მე-2 მუხლის თანახმად, ოცდა-თექვსმეტი ათასი მანათი გარდაეცეს იმას, თავად დადეშკელიანის ანგარიშში, თავად ოთარაშვილებს ურთი-ერთ შორის გასანაწილებლად სამოქალაქო კანონების ძალით.

5) ვიდრე ბეჩოს მამული თავად ივანე დადეშკელიანს მიეცემოდეს, გამოეკლოს ამ მამულს 44 დეს. 1,138 ოთხ კუთხი საჟენი, რომლითაც ადგილობრივი ეკკლესიები სარგებლობენ, აგრეთვე ის მიწის ნაწილები, რომელზედაც სახაზინო შენობები და სამოსახლო სახლებია აგებული ადგილობრივ სასამართლო და საპოლიციო მოხელეთათვის,—და

6) მიენდოს კავკასიის მთავარ-მართებელს, იმ შემთხვევაში, თუ თავ. დადეშკელიანი შუამდგომლობას აღძრავს იმის შესახებ, რომ მომეცეს ჯილდო იმ მიწისათვის, რომელიც სახაზინო შენობასა და სადგომებს უჭირავთ, განსაზღვროს ამ ჯილდოს რაოდენობა და წარუგზავნოს ეს შუამდგომლობა ფინანსთა მინისტრს საჭირო განკარგულებათა მოსახდენად.

ხელმწიფე იმპერატორმა, 1898 წლის 29 მაისს, კომიტეტის ესე დადგენილება უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა.

◆ ◆

ნეკროლოგი.

† თავ. გ. ა. თარხან-მოურავი.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 2 ოქტომბერს გარდაიცვალა ახალქალაქის მაზრის უფროსი თავადი გრიგოლ ალექსანდრეს ძე თარხან-მოურავი. განსვენებული დაიბადა 1847 წელს. სწავლა ტფილისის გიმნაზიაში დაამთავრა. 1871 წელს კავკასიის ნამესტნიკის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბრძანებით თავ. გ. ა. თარხან-მოურავი დანიშნულ იქმნა კანდიდატად დუშეთის ნაწილის მომრიგებელ-შუამავლისა, ხოლო 1872 წელს ტფილისის საგუბერნიო გამგეობის შტატს გარეშე მოხელედ. შვიდის წლის სამსახურის შემდეგ 1879 წელს განსვენებული განამწესეს მომრიგებელ შუამავლად ახალციხის მაზრაში, სადაც 1891 წლამდე დაჰყო. ამ წელიწადს იგი დანიშნულ იქმნა თიონეთის მაზრის უფროსად. 1894 წელს თავ. თარხან-მოურავი თიონეთის მაზრიდგან გადაყვანილ იქმნა ახალქალაქის მაზრაში. ამ რიგად განსვენებული მთელი ცხრამეტი წელიწადი ემსახურა ახალციხისა, თიონეთისა და ახალქალაქის მაზრებს. განსვენებული დაუღალავი მშრომელი იყო, რითაც დიდი სარგებლობა მოუტანა ზემოხსენებულ მაზრებს. რაც-კი ამ მაზრაში საკეთილო და სასარგებლო გაკეთებულა, თითქმის სულ

ფელეტონი

წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

(წერილი XIX)

ჯორჯ გრეი, დამაარსებელი ეხლანდელის ავსტრალიისა.

რაღაც ზღაპრული ხასიათი აქვს ავსტრალიაში ინგლისის დემოკრატიის დაბინავებასა, გაძლიერებას და ეხლანდელის მდგომარეობის ისტორიას. ასის წლის წინად ავსტრალია წარმოადგენდა უდაბნოს, რომელშიაც მხოლოდ ველური ხალხი თუ მოიძებნებოდა თითო-ოროლა ადგილას; ოთხმოცის წლის წინად იქ იყო მხოლოდ რამდენიმე ქოხი ზღვის ნაპირას დაბინავებულ ახალშენთა; კიდევ ოცის წლის შემდეგ ავსტრალიაში ჰგზავნიდნენ დამნაშავეებს; ამათ გარდა ავსტრალიაში მიდიოდა მხოლოდ საეჭვო ზნე-ხასიათის ხალხი, რომელსაც ფიქრადა ჰქონდა იქ ოქროს პოვნა და გამდიდრება. ესენი არაფრით განირჩეოდნენ იქ გაგზავნილ დამნაშავეთაგან. ხოლო ორმოცის წლის წინად დაარსდა ახალშენები და მცხოვრებლებმა ხელი მიჰყვეს მიწათ-მოქმედებასა და საქონლის მოშენებას. ეხლა იქ ითვლება ხუთი მილიონი კაცი, მხნე, თავისუფალი და განათლებული; იქაური ქალაქები აოცებს ევროპიელს, თვისის განათლებითა, მოწყობილებით, სიმდიდრით და ჰიგიენის მხრივ მშვენივრად გამართულის ქუჩებით; სამი უნივერსიტეტი, ორი ახლად დასაარსებელი, უმაღლესი, საშუალო და პირველ დაწყებითი სკოლები ყველასათვის ხელ-მისაწდომია; მუზეები, კონსერვატორიები, თეატრები კაცს აკვირვებს სიდიდითა და სიმდიდრით. უფრო საყურადღებო-კი ის არის, რომ აქაურნი მკვიდრნი სრულიად თავისუფალნი არიან პოლიტიკურისა და სამოქალაქო უფლებათა მხრივ.

მერე საიდგან მოიპოვეს ავსტრალიელებმა ამოდენა სიმხნევე? რა არის მიზეზი ამ საოცარის განვითარებისა? ნუ თუ მართალია აზრი ზოგიერთ აქაურ ვითომ და პატრიოტთა, რომ ინგლისის დანიშნულებაა ახალშენების გამართვა და ბატონობაო, მაგრამ ამგვარი მჟავე პატრიოტები ყველგან და ყოველთვის სისულელეს ჰლაღადებდნენ. ამათ რომ ყური დავუგდოთ, მოგვახსენებენ—იტალიის დანიშნულება ინკვიზიცია არისო, ვითომ სხვა ერს-კი ღვაწლი არ მიუძღვის ამ „წმიდა საქმეში“. გერმანიის დანიშნულება ფილოსოფია არისო, თუმცა ტილლი მაგდებურგში და მოლტკე და ბისმარკი საშინელს ფილოსოფიას ალვიარებდნენ.

არა, საქმე დანიშნულება-კი არ არის ამა თუ იმ ხალხისა, საქმე იმის პოლიტიკური და გონებრივი განვითარებაა. ყოველივე ეს შეკავშირებულია ერის ისტორიულ განვითარებასთან.

იყო დრო, ოდეს ინგლისელებსაც უნდოდათ ლონდონიდგან მმართველ-გამგეობა გაეწიათ შორეულ ახალშენებისა და კანონებს უწერდნენ. მაგრამ წარსულ საუკუნეს ამ პოლიტიკამ მიაღწია ახალშენთა დამონავებამდე და ეს ძვირად დაუჯდა ინგლისს: ინგლისს ჩამოეცალა ამერიკის ახალშენები (შეერთებული შტატები), როგორც შემდეგ ესპანიას, მექსიკა, პერუ, ჩილი და სხვ.

გონიერმა კაცებმა შეიგნეს, რომ ასეთი წესი ახალშენების მმართველ-გამგეობისა უქადის ინგლისს ახალშენების ხელიდგან გამოცლას და ამიტომ დაიწყეს იმის დამტკიცება, რომ საჭიროა ახალშენებს სრული თავისუფლება მივანიჭოთ მმართველ-გამგეობისა. თუმცა ლონდონიდგან ამ ახალშენებს გუბერნატორებს უგზავნიდნენ, მაგრამ სხვა მმართველთა არჩევანები და გამგეობის სრული თავისუფლება მიანიჭეს. შემდეგმა დრომ გაამართლა აზრი გონიერ კაცებისა: ახალშენები იზრდებოდნენ, მდიდრდებოდნენ და ჰყვაოდნენ.

ასეთმა მართვა-გამგეობის წესმა სულ წინააღმდეგი ნაყოფი მოიტანა, ვიდრე იმ წეს მოჰქონდა, რომელსაც ესპანელები ხმარობდნენ ახალშენების გამგეობის საქმეში: ავსტრალიის დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ამ ქვეყნის ინგლისთან კავშირიც უფრო ძლიერდებოდა და მჭიდროვდებოდა, ამავე დროს-კი ესპანია, რომელიც დღესაც მტკიცედ იცავს ფილიპპ II-ის პოლიტიკას, ჩვენ თვალ-წინ ჰკარგავს კუბასა და ფილიპეს კუნძულებს, იმ კუნძულებს, რომელნიც ოდესღაც ძლიერის, საქვეყნო იმპერიის უკანასკნელს ნაშთს წარმოადგენენ.

ინგლისშიაც მოწინავე და გონიერის კაცების აზრმა საახალშენო პოლიტიკის საქმეში ერთბაშად არ გაიმარჯვა. დღესაც მოიპოვებიან სახელმწიფო მოღვაწენი, მაგალითად, ინდოეთის საქმეთა აწინდელი მინისტრი ლორდი გამილტონი, რომელნიც ესპანიის სისტემის აღდგენის მომხრენი არიან. განათლებულ და საუკეთესო კაცებს არა ერთხელ მოუხდათ ცხარე ბრძოლა ძველის წესრიგის და იმის ბოროტ-მოქმედებათა მომხრეებთან.

ერთ დაუღალავ და თავგამოდებულ მებრძოლთაგანი იმისა, რომ ახალშენებს თვითმართველობა მიენიჭოთ, იყო ამას წინად გარდაცვალებული სერ ჯორჯ გრეი,—„დიდებული მოხუცი ახალშენებისა“, როგორც მას ეძახდნენ. გრეიმ კიდეც დაიმსახურა ეს სახელი თავისის სამოცის წლის საადმინისტრაციო მოღვაწეობით აფრიკასა და ავსტრალიის ახალშენებში, რომელთა განვითარების და აღყვავების საქმეში იგი უპირველეს როლს თამაშობდა.

—

1837 წელს, შესანიშნავ გემით „ბიგლ“-ით, რომლითაც იმოგზაურა უკვდავმა ჩ. დარვინმა, გაემგზავრა პორტსმუტიდგან სამეცნიერო ექსპედიცია ავსტრალიის ჯერ კიდევ უცნობ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის გამოსაკვლევად. ექსპედიციას მეთაურობდა და წინამძღოლობდა ლეიტენანტი ჯ. გრეი, ცოცხალი, დაუღალავი და შრომის მოყვარე ახალგაზდა კაცი. მთელი წელიწადები გაატარა ახალგაზდა ლეიტენანტმა კვლევა-ძიებასა და განსაცდელში. იმის მიერ მოკრებილმა სამეცნიერო მასალამ და ნაწერმა საყოველთაო ყურადღება მიიქციეს და ისეთ დიდად გამოჩენილ მეცნიერებს, როგორც არის ჩ. ლაიელი, სამეგობრო მიწერ-მოწერაც-კი ჰქონდათ იმასთან. მაგრამ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მან საორგანიზატორო და საადმინისტრატორო ნიჭით მიიქცია.

დაბრუნდა თუ არა ინგლისში, 1840 წლის ზაფხულს, გრეის ხელახლა მოუხდა ავსტრალიაში გამგზავრება. ამ ჟამად იგი მიდიოდა ავსტრალიაში როგორც ამ ახალშენის მმართველი დიდის უფლებებით აღჭურვილი. ახალშენთა მინისტრმა ჯონ როსსელმა, რომელიც გულით იყო მოწადინებული სამხრეთ ავსტრალიის ახლად აღორძინებულ მოქალაქეობის განადგურებისაგან გადარჩენას, ამ საქმისათვის ახალგაზრდა ადმინისტრატორი აირჩია და იმას მიანდო ამ ახალშენის ბედ-იღბალი. გრეის დანიშვნამ და განსაკუთრებულ იმისმა

განსვენებულის მოქმედების ნაყოფი იყო.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 6 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზედ კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავადმა გ. ს. გოლიცინმა დაათვალიერა მუშტაიდში ბაღოსნობის გამოფენა.

⁂ იმავე დღეს, საღამოს, კავკასიის ბაღოსანთა კრებას სხდომა ჰქონდა. ამ სხდომაზედ თავ. ვ. გ. მაჩაბელმა წაიკითხა მოხსენება: „ბაღოსნობა გორის მაზრაში“.

⁂ ტფილისის გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელეს ბ. დ. კოვალენსკის მიენდო ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს მდივნის თანამდებობის აღსრულება.

⁂ ბაღოსნობის გამოფენა ტფილისში პირველ დღეს 500 კაცმა დაათვალიერა.

⁂ ორშაბათს, საღამოს 8 საათზედ, პირველი სხდომა ჰქონდა ახლად ამორჩეულს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას. სხდომას ყველა წევრნი დაესწრნენ—ექვსნი. ამ სხდომაზედ გამგეობის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ვ. სულხანიშვილი, იმისს ამხანაგად ნ. თ. ხიზანაშვილი, ხაზინადრად პეტ. ყიფიანი და მდივნად ნ. ჟორდანია. შემდეგ გამგეობამ დაადგინა ჩაიბაროს ძველის გამგეობისაგან ფული, წიგნთ-საცავი და ტანისამოსი, გაიცნოს თეატრის იჯარით აღების საქმე და სხვა ადმინისტრატიული განკარგულებანი მოახდინოს.

⁂ 4 ოქტომბერს ერევნიდგან და ეჩმიაძინიდგან დაბრუნდნენ ტფილისში ფრანგნი მოგზაურნი ბარონი დე-ბაი და კრაფტი. ამ დღეებში ესენი გორში აპირებენ წასვლას.

⁂ ტფილისის პირველ საბოქაულო ნაწილის ბოქაულის თანაშემწე თავ. წულუკიძე დანიშნულ იქმნა ბოქაულად ბორჩალოს მაზრაში.

⁂ გუშინ წინ, 5 ოქტომბერს, ხმოსანმა ხუდადოვმა ქალაქის საბჭოს განცხადება გარდასცა იმის შესახებ, რომ ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოებას დაეთმოს ერთი ნაჭერი მიწა კუკიაში ან დიდუბის მახლობლად სახალხო თეატრის და სახალხო კითხვებისათვის აუდიტორიის ასაშენებლად. ამ შენობის ასაგებად საზოგადოებას ჯერ-ჯერობით 10,000 მანეთი აქვს შეკრებილი.

⁂ ხუთშაბათს, 15 ოქტომბერს, საბჭოს დარბაზში კენჭს უყრიან იმ ყმაწვილ კაცთ, რომელნიც 1898 წ. სამხედრო ბეგარაზედ არიან გაწვეულნი.

⁂ ამ წელს აფხაზეთში დაარსებულ იქმნა სამი პირველ დაწყებითი ვაჟთა სასწავლებელი და ერთიც დედათა სასწავლებელი.

⁂ გაზ. „კასპი“-ის სიტყვით, ბაქოში დაარსდა ახალი ნავთის მწარმოებელთ ამხანაგობა. ამხანაგობას ძირის თამხად აქვს 20,000 მ. სახელად ეწოდება „კალიფორნიის ამხანაგობა“.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“: სწერს „სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას სამთო ინსტიტუტი, თუ ქ ტფილისი და ნავთის მწარმოებელთა კრება იმ ფულს, რომელსაც კავკასიის პოლიტეხნიკუმს დაჰპირდნენ, ამ ინსტიტუტს დაუთმობენ“.

⁂ გორიდგან სწერენ იმავე გაზეთს: „2 ოქტომბერს სააგარაკო მატარებლით აქ მობრძანდა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. სადგურიდგან მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ტაძარში წაბრძანდა, ხოლო იქიდგან კავალერიის გენერალის თავ. ი. გ. ამილახვარის სახლში, სადაც ღამე გაათია. მეორე დღეს, 3 ოქტომბერს, საქართველოს ექსარხოსმა დაათვალიერა სამასწავლებლო სემინარია, სასულიერო სასწავლებელი, დედათა პროგიმნაზია და საქალაქო სასწავლებელი, აგრეთვე სამრევლო სკოლები. საღამოს 5 საათზედ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა სადგურ ხაშურში წაბრძანდა“.

⁂ სად. რიონი. 4 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, შორაპნიდგან მომავალმა სახალხო მატარებელმა სადგურ რიონში გადაუარა და შუაზედ გასჭრა სოფელ ჰოკნარის მცხოვრებელი გლეხი დიმიტრი ნიშნიანიძე. საბრალოს ცოლშვილი ქუთაისში ჰყოლოდა სიძესთან და თვითონაც იქ აპირებდა თურმე წასვლას.

⁂ როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, წარსულ თვეს ტფილისში 38 კაცი, ქალი და ბავშვი გამხდარა ავად ყვავილით.

—

შეცდომის გასწორება. „ივერიის“ მე-213 №-ის 5 ოქტომბრის დეპეშებში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი: „პარიჟი. სამგლოვიარო მატარებელი მოვიდა საღამოს 6 საათზედ“ და სხვა. უნდა იყოს: „როსკილდე. სამგლოვიარო მატარებელი მოვიდა“ და სხვა...

ქალაქის საბჭო

5 ოქტომბერი

კრების დაწყებისათანავე ქალაქის მდივანმა წარსულ კრების ოქმი წაიკითხა.

ქალაქის მოურავი. ეხლა უნდა შეცნობებინა საბჭოსათვის, რა მიზეზის გამო არ იყო მილში წყალი 19 სექტემბერს მელკიკოვის მაღაზიასთან, სადაც ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ რადგან ხმოსანი ევანგულოვი ჯერ არ მოსულა, რომელიც ამ საქმის შესახებ შემეკითხა წარსულ კრებაზედ, როგორ გსურთ, გადავდო ეს საგანი იმისს მოსვლამდე, თუ ეხლავე მოგახსენოთ.

ხმები. დავუცადოთ ხმოსანს ევანგულოვს.

ხმ. იოანნესიანი. მართალია, ხმოსანი ევანგულოვი შეგეკითხათ, მაგრამ ეს საქმე საბჭოსთვის არის საყურადღებო და არა მარტო ევანგულოვისათვის, რომელიც შეიძლება, არც დღეს მოვიდეს და არც შემდეგს კრებაზედ. როდემდის უნდა გადავდოთ ამ საქმის მოსმენა, რომლის დაგვიანება შეუძლებელია.

ბ-ნმა მოურავმა განიმეორა ის, რაც წარსულ კრებაზედ სთქვა ამ საგნის შესახებ და შემდეგ ჩამოთვალა მიზეზები, რომელთაგან საყურადღებოა მხოლოდ ერთი: იმ დღეს, რა დღესაც ცეცხლი გაჩნდა, წყლის ამოსაღების საცობი გატეხილა, რის გამო წყლის დენა შეწყვეტილა ზემო აუზში, საიდგანაც, სხვათა შორის, მელკიკოვის მაღაზიის წინ გამართული ონკანიც იღებდა წყალს. მაგრამაო, განაგრძო მოურავმა, ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, რადგან მახლობელს მილებში იმდენი წყალი იდგა, რომ სრულიად საკმარისი იყო ერთს ადგილას ცეცხლის ჩაქრობისათვისო.

ხმ. მატკევიჩი. ორს ადგილას რომ გაჩენილიყო ცეცხლი, ერთი მეორეს მახლობლად, მაშინაც საკმარისი იქმნებოდა ერთის აუზის წყალი?

ქალაქის მოურავი. დიაღ, საკმარისი იქმნებოდა.

ხმ. ხუდადოვი. სასურველია, რომ წყალი ყველა ონკანში იყოს გამუდმებით.

მოურავი. ჩვენის მხრივ წარმომადგენელი უნდა გავგზავნოთ ტფილისის საბრეშუმო სადგურში ბაღოსანთა კრებაზედ დასასწრებლად.

საბჭომ ერთ ხმად აირჩია ხმოსანი დ. ზ. ყორღანოვი.

ქ. ა. ვერმიშევმა წაიკითხა გამგეობის მოხსენება გ. გ. ყორღანოვის განცხადების შესახებ, რომელიც თხოულობს, რომ ახალ-ყორღანოვისა და ოლგას ქუჩებ შუა ვიწრო ქუჩა გაიყვანეთო. ამ ვიწრო ქუჩისათვის, რომელსაც 30 საჟენი სიგრძე ექმნება, ბ-ნი ყორღანოვი უთმობს ქალაქს 4 საჟ. სიგანე ადგილს. გამგეობას-კი მოუთხოვია მისთვის 5 საჟ. სიგანე ადგილი.

ხმ. ხუდადოვი. საჭიროა, ახალი ქუჩა როცა გაგვყავს, განიერი იყოს, მეტადრე ისეთ უბანში, სადაც ყორღანოვის ადგილია. 5 საჟენი განი ცოტა იქმნება, 6 სჯობია.

ხმ. თაიროვი. სასურველია განიერი ქუჩები, მაგრამ ტფილისში შეუძლებელია. დასაფასებელს გარდასახადს ვადებთ ისეთ ადგილებს, რომელიც არავითარს სარგებლობას არ აძლევს პატრონთ. ამის გამო ბევრს მემამულეს ფული ვერ შემოაქვს და შემდეგში უფრო გაუჭირდებათ საქმე, ვინც ქუჩისთვის მუქთად ადგილს გვითმობს, იმას რომ მოვსთხოვოთ კიდევ მეტი დაგვითმეო.

ხმ. ბაღდასაროვი. რაიმე გარემოება თუ ხელს არ უშლის, 6 საჟენი

პირველმა მოქმედებამ ახალს თანამდებობაში კონსერვატორთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით კონსერვატორნი უკმაყოფილონი იყვნენ იმისა, რომ ამ თანამდებობაზედ ასეთი ახალგაზდა კაცი იქმნა დანიშნული.—„მაგრამ, გრეის დასაცველად ამბობდა ხოლმე რომერტ პილი, ახალგაზდობა ხომ სენია, რომელიც რაც დრო და ხანი გადის, იკურნება“—ო.

ხოლო კონსერვატორთა უკმაყოფილებას ახალგაზდა „დიდის პროკონსული“-თ, როგორც ხშირად ეძახდნენ გრეის სალიბერალო გაზეთები, თავის მიზეზები ჰქონდა.

ჯერ ერთი, ბ-ნთ კონსერვატორებს აზრადა ჰქონდათ ავსტრალია ხელში ჩაეგდოთ ისეთის უპირატესობით მოსილ მონოპოლისტთა ამხანაგობებისათვის, როგორიც იყო ოსტ-ინდოეთის ამხანაგობა. გრეი კი იმასა ცდილობდა, რომ მიწა მისცემოდა ყოველს გადმოსახლებულს მთავრობისაგან და თვისი გაიტანა კიდეც.

მეორე, იმათა ჰსურდათ ისეთი მართვა-გამგეობა შემოეღოთ ავსტრალიაში, რომლის ძალითაც ადგილობრივ წარმომადგენლობას ადგილი არა ჰქონოდა იქა, გრეიმ-კი დააწესა არამც თუ საარჩევანო წარმომადგენლობა, არამედ იგი სადემოკრატო გაჰხადა და საყოველთაო ამომრჩეველობითი უფლება შემოიღო.

ეს-კი იმით ცოდვად მიაჩნდათ, რომ კონსერვატორმა, ლორდმა კარნარვანმა გარეის საშიში კაცი უწოდა. ეს „საშიში“ კაცი აარსებდა დაბალს და საშუალო სასწავლებლებს, საავადმყოფოებს და წიგნთ-საცავებს, ახლად შემდგარ საზოგადოებას აფხიზლებდა, თვით-მოქმედების სურვილს უნერგავდა და სამოღვაწეოდ იწვევდა. და ყველა ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვით ინგლისში ჯერ კიდევ არ არსებობდა სახალხო სკოლები, ხოლო საფრანგეთში იეზუიტები და უვიცობა გამეფებულიყვნენ; მაშინ, როდესაც ავსტრიასა და იტალიას სული ეხუთებოდათ, მეტერნიხის პოლიტიკით შებორკილ-შეჭედილთ, სინათლის კვალი ვერ გაეგნოთ.

ასეთმა ცხოველმა მოქმედებამ მალე შესაფერი, მდიდარი ნაყოფი მოიტანა. ავსტრალიაში გადასახლებულნი თან და თან ეწყობოდნენ, ქალაქები იზრდებოდნენ და ახალის მოთხოვნილებისა-და-კვალად იმართებოდნენ და დღეს მელბურნი, სამხრეთ ავსტრალიის სატახტო ქალაქი, სადაც ამ ჟამად ნახევარი მილიონი მცხოვრებია, ერთს საუკეთესო, მოწყობილ ქალაქად ითვლება მთელ დედამიწის ზურგზედ. გრეის შრომა ლონდონის კანცელარიებშიაც დააფასეს, თუმცა რადიკალის და დემოკრატის სახელმა ნება არ მისცეს დიდი თანამდებობა დაეჭირა თვით ინგლისში. იმის თავგამოდებულ მზრუნველობას ახალშენები მიანდვეს, და ყოველთვის, როდესაც რომელსამე ოლქს კრიზისი და უწესოება ეწვეოდა, ამ ოლქის გამგედ მთავრობა გრეისა ჰნიშნავდა, დარწმუნებული, რომ იგი მალე ყველაფერს სასურველს გზაზედ დააყენებს. გარეის სასახელოდ უნდა ვაღვიაროთ, რომ იგი ყოველთვის მიაღწევდა ხოლმე მინდობილ საქმის სისრულეში მოყვანას. ყველა ახალშენი, რომლის ნავთსადგურებიც, გრეის მიერ გამართული, დამშვენებულია იმის ძეგლით—ახალი ზელანდია ისე, როგორც სამხრეთ ავსტრალია პოლიტიკურად და ადმინისტრატიულად იმის შრომითა და მზრუნველობით არის შექმნილი.

განსაკუთრებით გრეის ახალ ზელანდიის წინაშე მიუძღვის დიდი შრომა. აწინდელი კონსტიტუცია, რომლის ძალითაც საპოლიტიკო უფლებანი მინიჭებული აქვთ ადგილობრივ მცხოვრებელ მაორებსაც, ყველა მკვიდრს მიწა ეძლევა, სამუშაო დღე 8 საათს შეიცავს, სწავლა უსასყიდლო და სავალდებულოა, ქალებს ხმის უფლება აქვთ და შეუძლიანთ საზოგადო თანამდებობებზედ არჩეულ იქმნენ და სხვა, ეს კონსტიტუცია, ვამბობთ, იმის განხორციელება გრეის მეცადინეობის და მარჯვენის ნაყოფია.

ასეთს შედეგს მან მიაღწია გონიერ პოლიტიკის წყალობით. იგი თვით მცხოვრებლებს იწვევდა სამოქმედოთ. მათ ფართო სამოქმედო და სამოღვაწეო ასპარეზს უთმობდა. გრეი ისე კი არ იქცეოდა, როგორც შორიდგან მოსული ადმინისტრატორი, არამედ ისე, როგორც პირველი მოქალაქე, რომელსაც ადგილობრივ საზოგადოების ჭირი და ვარამი თავისს საკუთარ ჭირადა და ვარამად მიაჩნდა; სხვასავით მას ფორმალისტობა არ აკმაყოფილებდა, ყოველთვის მეგობრობას უწევდა ყველას, ვინც გარს ეხვია და ვინც იმის მზრუნველობას ებარა.—ასეთი იყო, ვიმეორებთ, ეს ინგლისის ახალშენების გამაძლიერებელი, ეს ბრიტანიის იმპერიის „დიდი პროკონსული“, Greut oldman.

ჯ. გრეი ყოველთვის ჰუმანიურად და კაცურად ექცეოდა ახალშენებში მცხოვრებ ზანგებსა და ეს-კი იმის ხასიათის ერთს დაუფასებელ თვისებას შეადგენდა. არა ერთხელ და ორჯელ უთქვამთ დაცინვით, რომ „სერ ჯ. გრეი კაფირებს, მაორებს და ავსტრალიელებს ექცევა, როგორც ლედი და ჯენტლმენებსაო“. და მართლაც იგი მოსიყვარულე ძმასა და მეგობარსავით ექცეოდა მათ. იმის შესანიშნავ მეგობრის Miss ფლორენ ნაიტინგალის *) სიტყვით, გრეი პირველი და თითქმის ერთად-ერთი ადმინისტრატორი იყო, რომელმაც ველურთა ენა შეისწავლა. სამაგიეროდ როგორ უყვარდათ და რა პატივსა სცემდნენ იმას ველურები. 82 წლის გრეი რომ ინგლისში დაბრუნდა, კუკის კუნძულის მცხოვრებლებმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნეს: „ჩვენი პირველი ფიქრი შენა ხარ, გრეი! დაგლოცოს უფალმა და მოგანიჭოს ბედნიერება და მშვიდობა შენ, რომელმაც იმდენი იშრომე სხვათა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის“.

უკანასკნელი ოთხი წელიწადი გრეიმ მოსვენებით გაატარა ლონდონში, სადაც ყველა ინგლისელი დიდს პატივსა სცემდა. მაგრამ სიტყვა მოსვენებით არ შეეფერება გრეის ცხოვრებას. აქაც, ლონდონში, ბევრსა ჰშრომობდა და დიდს მონაწილეობას იღებდა ერთს საზოგადოებაში, რომელსაც საგნადა აქვს ყოველივე ქვეყანაში გააძლიეროს ის ერი, რომელსაც ეკუთვნის ეს ქვეყანა. ამ საზოგადოების თავმჯდომარედ არის გრეის მეგობარი, სახელოვანი ალფრედ ვალლასი.

მოხუცებული გრეი ძლიერ თანაუგრძნობდა ჰომრულს და ფედერალიზმს. გრეის წადილი იყო დაარსება ანგლო-საქსონთა ეროვნების თავისუფალ ფედერაციებისა ამერიკასა, ავსტრალიასა, აფრიკასა და კანადაში. როდესაც გრეის ეტყოდნენ ხოლმე „ეგ ოცნება არისო“, უპასუხებდა: „მერე რა?—მე ყოველთვის ოცნების კაცს მეძახდნენ, მაგრამ მე კარგა ხანს ვიცოცხლე და ბევრჯელ მინახავს, რომ ჩემი ოცნება განხორციელებულა“. მართალია, გრეის ბევრი ოცნება განხორციელდა და იმედი ვიქონიოთ, რომ კიდევ ბევრი საუკეთესო ოცნება მისი განხორციელდება.

ვ. მარველი

---

*) პირველი დედაკაცი, რომელიც ყირიმის ომის დროს დაჭრილებს უვლიდა. ამ დედაკაცის წყალობით დაარსდა შემდეგ ქალთა საზოგადოებანი ბრძოლის ველზედ დაჭრილთა მოსავლელად.

სიგანე სჯობია. მამულის პატრონები არა ჰსაჭიროებენ თაიროვის მფარველობას.

ქ. ა. კერმიშევი. 6 საჟენი შეუძლებელია. თუ მაინცა და მაინც ჩავაცივდით, ბ-ნი ყორღანოვი სრულიად უარს იტყვის და 5 საჟნიანსაც ვერ გავიყვანთ.

ხმ. შაჭ-აზიზოვი. ქალაქის განაპირა ადგილებში კიდევ შეიძლება ვიწრო ქუჩები, მაგრამ ვერაზედ, რომელსაც კარგი მერმისი მოელის, ყოვლად შეუძლებელია. აქ დიდის სიამოვნებით ჰყიდულობენ ადგილს და ძვირფასადაც იმ იმედით, რომ შემდეგში 4—3 სართულიან სახლებს ავაგებთ და დანახარჯს დავიბრუნებთო, მაგრამ, როცა შემთხვევა გვაქვს, განიერს ქუჩებს თუ არ გავიყვანთ, ხომ ზარალში ჩასცვივიან ადგილის პატრონები. საბჭოს ბევრჯელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ვიწრო ქუჩებს ნუღარ გავიყვანთო, და გამგეობაც ვალდებულია საბჭოს სურვილი მხედველობაში იქონიოს.

საბჭომ, ხმის უმეტესობით, უარ ჰყო გამგეობის წინადადება და დაადგინა ხსენებულ ვიწრო ქუჩას 6 საჟენის სიგანე დაეთმოს.

ა. ა. ივანენკომ წაიკითხა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქმა პოლიციის შენახვაში 1900 წ. 1 იანვრიდგან. მოხსენებიდგან სჩანს, რომ, 1892 წ. 26 მაისს სახელმწიფო საბჭოს დადგენილების თანახმად, 179900 მანეთიდგან, რომელიც ტფილისის პოლიციის შენახვას უნდება წლიურად, ქალაქს შეწერილი აქვს 1900 წ. 1 იანვრამდე ყოველ წლიურად 79,900 მან. თავისს მოხსენებაში გამგეობა სთხოვს მთავრობას, რომ ამ ფულზედ მეტის გარდახდას ნუღარ დაავალებ ქალაქს, რადგან ამის გარდა ცეცხლის მქრობელ რაზმის შენახვა და პოლიციისათვის შენობა 37,008 მან. გვიჯდება წელიწადშიო. მეტის გარდახდა თუ გვაკისრებინეთ, ქალაქი დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, რადგან მოთხოვნილება თანდათან ჰმატულობს, მაგალითად, ქუჩების მოკირწყვლა, განათება, არხებისა და წყლის მილების გაყვანა და სხ. მიუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს, ხოლო შემოსავალი წყარო-კი არსაიდგან სჩანს; პირ-იქით, კიდეც დააკლდა ქალაქს შემოსავალი ტივებზედ ბაჟის მოსპობით და ახალის გარდასახადის შეწერა რასმეზედ მოუხერხებელია, რადგან რაზედაც-კი შეიძლებოდა, ყველაფერს გარდამეტებული გარდასახადი აქვს შეწერილიო. მეტი გარდასახადი თუ დაგვედო, ქალაქის შემოსავალი და გასავალი ერთი მეორეს ველარ გაუთანასწორდებაო და სხვ.

ხმ. ხუდადოვი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოხსენებაში იმას, თუ ქალაქისათვის რამდენად საჭიროა ქუჩების რიგიანად მოკირწყვლა, განათება და სხ. ჩვენ ვთხოულობთ, იმაზედ მეტს, რასაც ეხლა ვიხდით, ნუღარ შეგვაწერთო; ეს-კი არა, უნდა ვითხოვოთ, რომ სრულიად განგვათავისუფლეთ ამ გარდასახადისაგანო და, ჩვენს საჭიროებას რომ გაითვალისწინებენ, იქნება კიდეც შეიწყნარონ ჩვენი თხოვნა. ამ საგნის შესახებ ლაპარაკიც აქვს აღძრული მთავრობას, როგორც გაზეთებიდგან ვიცით.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ბ-ნ ხუდადოვს ვეთანხმები. გამგეობამ ამის შესახებ მოხსენება წარმოგვიდგინოს.

კრებამ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება და აგრეთვე, ბ-ნთ ხუდადოვისა და ბაბოვის წინადადების თანახმად, მასვე დაავალა მოხსენება წარმოუდგინოს საბჭოს პოლიციის შენახვის ხარჯისაგან განთავისუფლების შუამდგომლობის შესახებ.

შემდეგ კრება შეუდგა ქალაქის ლომბარდის გამგეს არჩევანს. კანდიდატებად დაასახელეს მ. ი. ყაზარიანცი, ნ. ზ. თუმანოვი, ნ. ი. არღუთინსკი და ბ-ნი იაკიმოვი. ყაზარიანცის გარდა ყველამ უარი განაცხადა და ყუთი მარტო ყაზარიანცს დაუდგეს, რომელსაც 40 თეთრი კენჭი ამოუვიდა და 3 შავი.

დასასრულ გამგეობის წევრმა ბ-ნ ხოსროევმა ქ-ნ კორდეს საჩივარი წაიკითხა, რომელიც სწერს, რომ ჩემს სასტუმროს სამზარეულოთი, რომელიც ელისაბედის ქუჩაზედ არის, 230 მანეთი შეაწერეს წელს გარდასახადი და რადგან ეს ბევრია, შემიმცირეთო.

ხანგრძლივის ბაასის შემდეგ გამოირკვა, რომ კორდეს თავის დროზედ სავაჭრო საბუთის ქაღალდები არ აუღია, რის გამოც ის არ მიუწვევია იმ კომისიას, რომელსაც დავალებული ჰქონდა ამ გვარს სავაჭრო სახლებზედ გარდასახადის გაწერა. ამის გამო გამგეობას, წესდების ძალით, მისთვის საშუალო გარდასახადი შეუწერია, რომელიც 230 მან. შეადგენს. ეს რადგან ასე მოხდა წესდების ძალითვე, არც საბჭოს და არც გამგეობას ეხლა უფლება აღარ ჰქონია, რომ ეს გარდასახადი შეუმციროს.

ბ-ნ ივანენკოს წინადადებით, საბჭომ დაადგინა, რომ რადგან ქ-ნ კორდესათვის ეს გარდასახადი მართლაც დიდია, წელს ნაწილი გამოერთვას ამ გარდასახადისა ხოლო გაისად, რადგან წესდება ამის უფლებას იძლევა, დარჩენილი ფული ეპატიოს.

◆◆

ორიოდე სიტყვა ქართულ საეკკლესიო გალობის შესახებ.

ვიდრე აქ, აღნიშნულ საგნის გამო ვიტყოდე რასმე, ჩემს მოვალეობად ვსთვლი გაცნობოთ მკითხველებს, რომ ერთი საუკეთესო გალობის მცოდნე კიდევ მოგვაკლდა—მამა იოსებ ჩიქვაიძე; მამა იოსები, მართალია, ღრმად მოხუცებული იყო, მაგრამ მისი ჰარმაკობა თითქოს იმედს იძლეოდა, რომ კიდევ კარგა ხანს იცოცხლებდა. ლოდინი არ გაგვიმართლდა. 6 სექტემბერს მ. იოსები უცებ გარდაიცვალა საბუეში თელავიდგან 20—25-ს ვერსზედ მდებარე სოფელში, სადაც, დიდი ხანი არ არის, გადაყვანილი იყო თავისის სურვილისამებრ. მეორე დღეს გვამი თელავში გამოიტანეს და მესამე დღეს დაჰკრძალეს. მისის დასაფლავების დღეს მრავალნი შეიკრიბნენ მიუწვევლად და დაუძახებლად. თვით ეკკლესია ფერისცვალებისა, სადაც წინად კარგა ხანი მღვდლობდა განსვენებული, და ეკკლესიის გალავანი სავსე იყო მისის პატივის მცემლებით. აქ იყო თავად აზნაურობაც, მოხელეობაც, მოქალაქენიც და გლეხნიც. ყველანი ერთნაირად სწუხდნენ ძვირფასის მოძღვრის დაკარგვას. განსვენებული საუკეთესო მოძღვარი იყო, თუმცა არც ერთს სასწავლებელში არ ესწავლა, იოანნე ნათლის მცემლის მონასტრის გარდა. ამ მონასტერს მისთვის საკმაო ცოდნა მიეცა საზოგადოდ სღვთისმეტყველო საგნებისა და საუკეთესოდ განესწავლა კითხვა-გალობაში. გალობის მასწავლებლად მის დროს ყოფილიყო არხიმანდრიტი გენადი, გელათიდგან გადმოყვანილი, გურული და მცოდნე გურულის გალობისა. ეს გურული გალობა იცოდა მამა იოსებმა და ამ გალობის ხასიათი სრულიად წააგავს ესრედ წოდებულ კარბელაშვილის გალობას. ამ ოთხი წლის წინად მოვიდა თელავში ბ-ნი კლენოვსკი და, სხვათა შორის, მთელი წირვის გალობა გადაიღო მან მ. იოსების ნაგალობებისაგან; ბ-ნ კლენოვსკის რომ დრო ჰქონოდა, მოხუცებული მ. იოსები მზად იყო დღემდე შეეწირა და გადაეღებინა სუყველა საგალობელი. ისე დაუღალავად ჰმუშაობდა განსვენებული, რომ ყველას გვაკვირვებდა. ერთს მუხლს საგალობლისას დაუზარებლად ათჯერ და ოცჯერ იმეორებდა, ოღონდ გადამღებს შეცდომა არ მოჰსვლოდა. წირვის გალობა გადაღებულია ბ-ნ კლენოვსკისაგან და, თუმცა არ ვიცი, დღეს რა მდგომარეობაშია, ან ვისთან არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბ-ნი კლენოვსკი არ დაუკარგავს ქართველობას თავისსა და მ. იოსების ნაშრომს. სამწუხარო ის არის, რომ ყველა საგალობელი არ იქმნა გადაღებული. ამასთან საჭიროა კიდევ გავიხსენოთ, რომ ბ-ნ კლენოვსკის მიერ გადაკეთებული ზოგიერთი საგალობელი ოთხ ხმად მ. იოსებს მოსწონდა, ამბობდა განსვენებული, რომ „არავითარი გარჩევა არ არის, სული და გული გალობისა ისევ ის არის, ხასიათი და კილო არ იცვლება, ხოლო უფრო დამშვენებულიაო“. საჭიროდ მიმაჩნია ამისი გახსენება იმიტომ, რომ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ოთხმაზედ გადაკეთებულმა ბ-ნ ბენაშვილის მიერ წირვის გალობამ. ბ-ნი ს. ბენაშვილისაგან ოთხ ხმაზედ გადაკეთებულ გალობას აგალობებს დღეს ბ-ნი მონადირიშვილი, რომელსაც უსაფუძვლო მოკამათენი გამოუჩდნენ. აი სია ბ-ნ ბენაშვილისაგან ოთხ ხმაზედ გადაკეთებულ საგალობლებისა:

წირვისა:

„უფალო შეგვიწყალენ“ სამნაირი, „ყოველსა ადგილსა უფლებისა“, „მხოლოდ შობილი ძე“, „მოვედით თაყვანის ვსცეთ“, „წმიდაო ღმერთო“, „ალილუია“, „დასულისაცა შენისათანა“, „დიდება შენდა უფალო“, „რომელი ქერუბიმთა“, „და ვითარცა მეუფისა“, „მამასა და ძესა“, „მრწამს ერთი ღმერთი“, „წყალობა მშვიდობა“, „ღირს არს და მართალ“, „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო“, „შენ გიგალობ“, „ღირს არს ჭეშმარიტად“, „ყოველთა და ყოვლისათვის“, „მამაო ჩვენო“, „ერთ არს წმიდა“, „ვინ არა გნატრიდეს“, „კურთხეულ არს მომავალი“, „ნათელი ჭეშმარიტი“, „აღავსებ პირი ჩემი“, „იყავნ სახელი უფლისა“, „ამინ უპატიოსნესა“, სულ 24.

საღამოს ლოცვისა.

„აკურთხებს სული“, „ნეტარ არს კაცი, რომელი“, „უფალო ღაღად ჰყავ“, „ნათელი მხიარული წმიდისა“. „უფალო შეგვიწყალენ“ სამგზით, სულ 5.

ცისკრისა.

„ღმერთი უფალი“—მეოთხე ხმაზედ, „აწ და მარადის“, „აქებდით უფალსა“, „დიდება მამასა“, „მოციქულთა“, „დიდება მაღალთა შინა“, „ზესტა ბრძოლისა ჩემისასა“, სულ 6.

სხვა საგალობლები.

„მეუფეო ზეცათაო“, „ანგელოზი ღაღადებს“, „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“, „ჩვენთან არს ღმერთი“, „ტონდესპოტინ—ისპოლა ეტი“, „იხარებს სული ჩემი“, მღვდელმთავრის შემოსვლის დროს, „ისპოლა ეტი დესპოტა“, „გადიდებ შენ, ცხოვრების მომცემელო“, სხვა-და-სხვა დღესასწაულისა, სულ 8.

პანაშვიდის საგალობლები:

„ამინ, უფალო შეგვიწყალენ“, „განუსვენე უფალო“, „დიდება მამასა და ძესა“, „სულთა თანა აღსრულებულსა“, „წმიდაო ღმერთო“.—მიცვალებულისა, სულ 5.

ტროპარები:

წმ. ნინოსი, წმ. გიორგისა, მეოთხე ხმაზედ გაკეთებული, წმ. დავითის და კონსტანტინესი, წმ. დავით აღმაშენებლისა, ამაღლებისა, სულთ-მოფენისა, „ღირსარსის“ მაგიერი, задостойникъ: ამაღლებისა, სულთ-მოფენისა, ტაძრად მიყვანისა, სიყრმით ჩემით განთიადო, სულ 10, საერთოდ-კი 58 საგალობელი.

დღეს ჩვენში გალობის საქმე არეულია. ბ-ნ ქორიძისაგან გადაღებულმა, გამშვენებულმა გურულმა გალობამ ვერ შეაღწია სასწავლებლებს და ვერც შეაღწევსო, ამბობენ მცოდნენი. ამისი მიზეზი თვით გალობის მრავალგვარი კილოკავებია. მ. ვასილ კარბელოვისაგან გამოცემულმა მწუხრის გალობამაც ვერ მოიკიდა ჯეროვანად ფეხი სასწავლებლებში, რადგანაც ჯერ ერთი დიდ წიგნად არის გამოცემული და მეორე, მარტო მწუხრის საგალობლებია გამოცემული. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გალობის მასწავლებელს განზრახვა აქვს გურული უბრალო გალობა მისგანვე გადაღებული მარტო ერთ ხმაზედ გამოსცეს სასწავლებელში სახელმძღვანელოდ. ბ-ნ ა. ბენაშვილსაც სურვილი აქვს, თუ სახსარი აღმოუჩნდა, ოთხ ხმაზედ გადაღებული ზემორე ჩამოთვლილი საგალობლები გამოსცეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ. მ. პ. კარბელაშვილი, ძმა მ. ვასილისა, არ ეთანხმება ძმისაგან გამოცემულ გალობას, ამბობს, რომ გამოცემულში ბევრი რამ შეცვლილია, ბევრი დამახინჯებულია და სხვ. ახლა თავის შვილის, რომელმაც იცის ნოტები, შემწეობით აპირებს აღადგინოს თვისის მამის გალობა უნაკლულოდ და, რა თქმა უნდა, ეცდება თვისი გამოცემული გალობა სასწავლებლებში სახელმძღვანელოდ მიაღებინოს.

ბ-ნნი: ქორიძე, ბენაშვილი, მაღრაძე,—მამანი: ვ. კარბელაშვილი და პ. კარბელაშვილი—ჯერ ხუთნი არიან და შემდეგ შეიძლება ეს რიცხვი გაორკეცდეს. მე წინაამღდეგი არა მაქვს-რა, თუნდა ორმოცმა გამოსცეს ქართული საგალობლები; სრულიად თანახმა ვარ იმ აზრისა, რომ რაც ბევრისაგან იქმნება გამოცემული, ის უკეთესია, უფრო უკეთესის არჩევა შეგვეძლება როდისმე, მაგრამ აქ ერთი რამე გვავიწყდება და ეს ერთი რამე გახლავთ სკოლა, რომელსაც დღეს უნდა სახელმძღვანელო. აქ ვადის გადატან გადმოტანა ყოვლად შეუძლებელია. თქმა არ უნდა, საარხეოლოგიო აზრით არა ჰსტამბავენ საგალობლებს ჩვენნი გალობის მცოდნენი.

(დასასრული იქნება)

◆◆

რუსეთი

—

— საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში შუამდგომლობა აღძრას სახელმწიფო საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ დედათა გიმნაზიებისა და პრო-გიმნაზიებისათვის გადადებულ იქმნას დამატებითი კრედიტი.

— სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ საერო განათლების სამინისტრომ მიიღო განსახილველად მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შედგენილი პროექტი ქალაქ ეკატერინოსლავში უმაღლესის სამთო ინსტიტუტის დაარსების შესახებაო.

— ამ დღეებში სხვა და სხვა ეპარქიებს დაეგზავნათ სახელმძღვანელოები იმ მღვდელთათვის, რომელთაც მინდობილი აქვთ ზედამხედველობა სახალხო სამზრუნველოთა კომიტეტების მიერ დაარსებულ სახალხო წიგნთ-საცავებისა. ამ სახელმძღვანელოების ძალით, სამკითხველოს ყველა საქმეს ზედამხედველი განაგებს, იმის დაუკითხავად და ნება დაურთველად არაფრის გაკეთება არ შეიძლება სამკითხველოში. არც კრების გამართვა და არც რომელისამე წიგნის ან ჟურნალ-გაზეთის გამოწერა სამკითხველოსათვის. გარდა ამისა, ზედამხედველმა თვალ-ყური უნდა ადევნოს კვირა-უქმეობით სახალხო კითხვებსაც.

— გაზ. „Munch. Allgem. Zeitung“-ის სიტყვით, რუსეთის ქვეშევრდომნი, მკურნალი-ქალი ლიდა რაბინოვიჩი დანიშნულ იქმნა ფილადელფიის (ამერიკაშია) უნივერსიტეტის ბაქტეროლოგიის პროფესორად, ხოლო მკურნალი-ქალივე ტუსსენი—უტრეხტის (ჰოლანდიაშია) უნივერსიტეტის ბებიობის პროფესორად.

— აზრადა აქვთ 1899 წელს დაარსონ პეტერბურგში ქალთათვის აღმოსავლეთ ენების კურსები.

— პეტერბურგში შესდგა კაპიტალისტთა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა აქვს შეძლება მისცეს მსურველთ მცირე სასყიდლით 1900 წელს პარიჟის გამოფენაზედ წავიდნენ. ამხანაგობას თავისი საკუთარი გემები ეყოლება. იმ მგზავრმა, რომელსაც ეს ამხანაგობა წაიყვანს, პარიჟში 14 დღე უნდა დაჰყოს.

— აზრადა აქვთ ვარშავის პოლიტეხნიკუმს მეოთხე განყოფილებაც მოუმატონ, სახელდობრ სამთო განყოფილება.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამზღვევი კომიტეტი უკვე შეუდგა ქალაქებში აწ არსებულ ურთიერთა დამზღვევ საზოგადოებათა წესდების განხილვას. კომიტეტს აზრადა აქვს ამ წესდებებში ზოგიერთი ცვლილება მოახდინოს.

◆◆

უცხოეთი

—

ოსმალეთი. იმპერატორ ვილჰელმის მიბრძანებას კონსტანტინეპოლში გუშინ, 6 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ მელოდნენ. გერმანიის ახალშენლები ადრესს მიართმევენ იმპერატორს; ქუჩაში ოსმალეთის ჯარი იქმნება გამწკრივებული, რომელსაც ხონთქარი დაუდგის. ხონთქარისავე ბრძანებით გერმანიის ესკადრის აფიცრებს და ზღვაოსნებს საუცხოვოდ გაუმასპინძლდებიან. ყველა კერძო გემი, რომელსაც კონსტანტინეპოლსა და იერუსალიმს

ორის მომოსვლა აქვს, უკვე დაქირავებულია იმპერატორისათვის. წინად ამბობდნენ, რომ იმპერატორი ეგვიპტემდის წავაო, მაგრამ ეხლა ამას უარყოფენ. ამის მიზეზად გერმანიის გაზეთები იმას ასახელებენ, რომ უცხო ქვეყნებში საქმეთა ვითარების გამო იმპერატორს ჰსურს რეიხსტაგი თითონვე მოიწვიოს და ამიტომ იმ დროს ბერლინში უნდა დარჩეს, რათა რეიხსტაგის შეკრებას დაესწროსო.

— ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი თევფიქ-ფაშა ევროპის ოთხ დიდ სახელმწიფოს ელჩთან მისულა და უთხოვნია, რომ თქვენი მოთხოვნილება კრიტიდგან ოსმალეთის ჯარის გაყვანის შესახებ შესცვალეთო. ოთხივე ელჩს მინისტრისთვის უარი განუცხადებიათ. პირ-იქით, ჯარების გაყვანის ვადად ელჩებს განგებ ის დრო შეურჩევიათ, როცა იმპერატორი ვილჰელმი მობრძანდება კონსტანტინეპოლში, რათა ამით ხონთქარს წინააღმდეგობის საშუალება მოუსპონ.

—

კრიტი. კანიდგან ატყობინებენ ერთს გერმანელს გაზეთს, რომ კრიტში ხალხის მღელვარება თან-და-თან ჰმატულობს და იქ უცხო კაცის ყოფნა საშიშიაო. ადმირალებისა და კონსულებისათვის წინადადება მიუციათ,—თქვენი სახლობა წაიყვანეთო; აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ ბრძანება მიუღიათ, რომ ერთის კვირის განმავლობაში აქედგან წადითო. სახელმწიფოების წარმომადგენელთა და მათ სახლობათათვის რუსეთის სამხედრო გემი ყოფილა არჩეული. ეშინიათ თურმე,—ოსმალეთის ჯარმა კუნძულიდგან გასვლის უარი არ განაცხადოს, რის გამოც ბრძოლა აუცილებელი შეიქმნებაო.

—

ჩინეთი. როგორც უკვე ვიცით, პეკინში შევიდნენ რუსეთისა, ინგლისისა და გერმანიის ჯარის კაცნი ხსენებულ სახელმწიფოების საელჩოთა დასაცველად შეამბოხე ჩინელებისაგან. აგრეთვე მოხსენებული გვქონდა, რომ იაპონია და შეერთებული შტატებიც ჰგზავნიან ჩინეთის წყლებში თავიანთ საომარ გემებსაო. ეხლა ამბობენ, რომ საფრანგეთისა და იტალიის ჯარებიც მიდიან პეკინში თავიანთ საელჩოების დასაცველადაო. ჩინეთის მთავრობას წინააღმდეგობა გამოუცხადებია იმის გამო, რომ რუსეთმა 30 ჯარის კაცის ნაცვლად, როგორც ვითომ პირობა ყოფილიყოს, 70 კაცი გაჰგზავნა პეკინში.

—

ესპანია. მადრიდიდგან სწერენ გაზეთ „Temps“-ს, რომ შეერთებულ შტატებთან სამშვიდობო მოლაპარაკება ესპანიას ხელს არ უშლის გაფაციცებით თვალ-ყური ადევნოს შორეულ აღმოსავლეთის საქმეს და მაროკკოსაო. ესპანიამ გარდასწყვიტა ორთავე საქმეში რუსეთისა და საფრანგეთის თანახმად იმოქმედოს და დიდ ხანს არ დაივიწყებს ინგლისის საქციელს ესპანიისა და ამერიკის ომის დროსო.

იმის შიშით, რომ ამერიკასთან სამშვიდობო ხელ-შეკრულობის შემდეგ არეულობა არ მოხდეს,—მთავრობა ბევრს ჯარის-კაცს არ დაითხოვს, როგორც წინად აზრად ჰქონდაო.

ესპანია ფილიპის კუნძულებზედ ჯარს აღარა ჰგზავნის, რადგან ამას წინ აღუდგა შეერთებული შტატები, რომელმაც განაცხადა, რომ ეს statu cuo-ს დარღვევის ნიშანი იქმნებაო, რომელიც ხელ-შეკრულობის დადებამდე უცვლელად უნდა დარჩესო. ამ ჟამად ესპანია უფრო იმას არის მოწადინებული, რომ რაც შეიძლება ადრე განათავისუფლონ ტყვედ წაყვანილი ესპანიის ჯარის-კაცნი, რომელთაც ერთობ ცუდად ეპყრობიანო; აგრეთვე იგი თხოულობს, რომ კუბიდგან ჯარების გამოყვანის ვადა გადაიდოს, რადგან ამით ხარჯი შემცირდებაო.

დამაკვირდი

ტყუილად გვგონია, რომ ბუნებას ოდესმე დავიმორჩილებთ: მას ხელთ უპყრია ყოვლის შემძლე სალამური და თავის ნებაზედ გვათამაშებს...

ბ. დ—შვილი

* * *

ეჭვი არა აქვს, რომ სიყვარული ყველაფერსა სძლევს; იგი ერთი ასი ათასად მაღლა სდგას თვით მოყვარეობაზედ, სიმდიდრეზედ ძვირია, დიდებაზედ კეთილშობილი.

ტეკკერეი

* * *

არა რაჲ არს სოფელსა შინა მტკიცე, ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად: არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაკე და არცა დიდებაჲ,—აჩრდილი და სიზმარი არს ყოველივე.

იოანე

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შვეიცარიის ერთმა ჯარა ექიმმა ეხლახან ერთს დედაკაცს კუჭი ამოსჭრა. ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი გამოიწვია მკურნალებ შორის. შვეიცარიის მკურნალთან ბ-ნ შლატტერთან (ციურიხში) მივიდა 56 წლის დედაკაცი და შესჩივლა, ამ ბოლო დროს კუჭის ავადმყოფობა დამჩემდაო. მკურნალმა ავადმყოფი გასინჯა და დარწმუნდა, რომ სტომაქში კუ გაუჩნდა. შლატტერმა გარდასწყვიტა, რომ ავადმყოფს მხოლოდ ოპერაცია მოარჩენს. გაუჭრა მუცელი და სახტად დარჩა. ჰნახა, რომ მთელი კუჭი სულ ერთიანად დაავადებული იყო. ორში ერთი უნდა აერჩია, ან თავი დაენებებინა ავადმყოფისათვის ან არა და მთელი დაავადებული კუჭი ამოეჭრა. ასეც მოიქცა; ამოსჭრა მთელი კუჭი, ერთმანერთს გადააკერა ზემო და ქვემო ნაწლავები და მერე გაუკერა მუცელი. მერე მკურნალი მოუთმენლად მოელოდდა, რა დაემართება დედაკაცსაო. მართალია, ამ მკურნალს ბრალი არ დაედებოდა, დედაკაცი რომ მომკვდარიყო კიდეც, რადგანაც უიმისოდაც სასიცოცხლო არ იყო, მაგრამ მკურნალს უნდოდა გაეგო, ჩემის ოპერაციით დღე შევუმოკლე, თუ რამდენსამე ხნის სიცოცხლე კიდევ მივანიჭეო. ავადმყოფს ჰკვებავდნენ რძითა და წვენით. მერე ცოტაოდენს დაკეპილს ხორცსაც აჭმევდნენ. ავადმყოფი თანდათან მოკეთდა და სამკურნალოდგან წასვლაც უნდოდა, მაგრამ ნება არ მისცეს. ეს შემთხვევა მეტად საყურადღებო იყო მკურნალებისათვის. შლატტერმაც თავისს ავადმყოფს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ყოველ დღე სასწორით ჰწონავდა ხოლმე საჭმელს, რომელსაც აჭმევდნენ ავადმყოფს და გამოიანგარიშა, რომ ავადმყოფი კარგად ინელებდა საჭმელს, თუმცა კუჭი აღარა ჰქონდა. ავადმყოფი თანდათან მოკეთდა და წონაშიაც იმატა. მკურნალმა ისიც შეამჩნია, რომ ამ დედაკაცის ერთი ნაწლევი თანდათან დიდდება. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, რადგანაც მკურნალები ჰფიქრობენ, რომ თუ ამ დედაკაცმა დიდხანს იცოცხლა (ჯერ-ჯერობით-კი ამის იმედი აქვთ) მაშინ ეს ნაწლევი კუჭის მაგიერობას გასწევსო.

* * *

სახელოვანს ამერიკელს ედისონს ჰყავს მოზრდილი ვაჟი-შვილი; როგორც ეტყობა, ახალგაზრდა ედისონი თავისის მამის კვალს დასდგომია. ამერიკის ჟურნალები ამტკიცებენ, რომ ახალგაზდა ედისონმა გამოიგონა საშუალება, რომლითაც შეიძლება გადიღონ ფოტოგრაფიული სურათი ადამიანის ფიქრისა. აი რა ხერხი იხმარა ედისონის შვილმა. დასვა ერთი კაცი სკამზე, დაუდგა წინ მანქანა და სთხოვა, სულ ერთთავად იმ მანქანას უყურე და ამავე დროს შილინგზე (ლითონის ფული) იფიქრეო. ცოტა ხანს შემდეგ ედისონმა ჰნახა, რომ მანქანაში ჩაყენებულ ფირფიტა, ზედ მრგვალი სურათი გამოიხატა, თუმცა შილინგზედ დიდის ზომისა. ედისონი მაინც არ დაღონდა ამით და მხნედ შეუდგა გამოკვლევას. გამიგონია და გამომიცდია კიდეც, სთქვა ედისონმა, რომ თუ დიდხანს უყურა ადამიანმა ერთს საგანს, მერე თვალი რომ მოაშოროს და ჭერს შეჰხედოს, იქაც ამავე საგანს დაინახავსო. მაშასადამე, თუ-კი თვალის კაკალზე ჰრჩება სურათი საგნისა, რომელსაც თვალი დიდხანს უყურებდა, შესაძლებელი უნდა იყოს, ისეთი მანქანა გავაკეთო, რომ ეს სურათი გადავიღოო. ასეთი მანქანა კიდევაც გააკეთა ახალგაზდა ედისონმა. მერე ერთს თავისს მეგობარს სთხოვა თავი მოიპარსეო და მოპარსულს თავზე დაადგა მანქანა. თან ისიცა სთხოვა, შილინგზე იფიქრეო. მერე გადმოიღო მანქანა და ჰნახა, რომ ფირფიტაზე შილინგის მსგავსი სურათი იყო დახატული. ახალგაზდა ედისონი თურმე სიხარულით აღარ არის და დარწმუნებულია, რომ შემდეგში ისეთს მანქანას გამოიგონებს, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქმნება ადამიანის ფიქრის და აზრის სურათზე გადაღება.

მცირე შენიშვნა

ეს მეორე წელიწადია, რაც სოფ. ძველ-სენაკში დაარსდა „სამეგრელოს სავაჭრო-სასესხ-მიცემო ამხანაგობა“. ამ ხნის განმავლობაში, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბ-ნს გამგეს არც ერთხელ არ გამოუცხადებია რომელსამე გაზეთის საშუალებით ამხანაგობის მოქმედების ანგარიში. თუმცა და შარშან და წლეულს ეს უკუღმართ ვარსკვლავზე დაარსებული ამხანაგობა აბრეშუმის უმს პარკს ჰყიდულობდა, მაგრამ მოიგო რამე თუ წააგო, ჯერ არა ვიცით-რა. ვიცით მხოლოდ ის, რომ ეს „ამხანაგობა“ არსებით-კი არსებობს, მაგრამ აკეთებს რამეს თუ არა,—ღმერთმა უწყის. ესეც არის, რომ ამ ამხანაგობის ავ-კარგის გაგება მრავალს ჰსურთ, მაგრამ ბ-ნს გამგეს ამხანაგობის მოქმედების ანგარიში ცხრაკლიტულში აქვს შენახული. ნეტავი ვიცოდეთ, როდემდის შეინახავს ასე? არა ერთხელ მოსთხოვეს ბ-ნს გამგეს ამ გაზეთის საშუალებით თუ კერძოდ, ანგარიში, მაგრამ მან ყველას უარი უთხრა. უკანასკნელად ვსთხოვთ ბ-ნს გამგეს,—„ივერიის“ მახლობელს №-ში გამოაცხადოს ამხანაგობის ანგარიში და გაგვაგებინოს—ამ ორის წლის პარკის ყიდვა-გაყიდვით მოიგო რამე თუ წააგო?!.

ტელეფონი

ახალი წიგნები

—

ჩვენ მივიღეთ წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული წიგნი: „რძე და მისი სხვა-და-სხვა გვარად გამოყენება“, შედგენილი პროფესორის ვ. პეტრიაშვილის მიერ. ეს დიდად ღირსეული შრომა პატივცემულის პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა წინად წვრილ-წვრილ წერილებად იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბე“-ში და ეხლა შეიცავს საკმაოდ მოზრდილს, 486 გვერდიან დიდის ზომის, სუფთად დაბეჭდილს წიგნს. წიგნი შეიცავს ექვსს ვრცელს თავს, 81 სურათით დასურათებულს, სახელდობრივად: ა, რძის თვისება, შედგენილობა და წარმომავლობა; ბ, რძის მოვლა და შენახვა; გ, რძის გამოსაკვლევნი საშუალებანი; დ, ნაღები, მისი მოგროვება და მოხდა; ე, კარაქი და ერბო და ვ, ყველი. პატივცემულ შემდგენელის მიერ ყოველი ეს ნაწილი ვრცლად არის დაწერილი. მარტო ამ თავების დასახელდობრივება გვიჩვენებს, რამდენად სასარგებლო და გამოსაყენებელია ეს წიგნი ყოველის ქართველის წესიერ და შეგნებულ მეურნე მეოჯახისათვის. ეს მოზრდილი წიგნი ჰღირს 1 მან. 50 კაპ.

სასურველია, რომ იგი გავრცელდეს ქართველთა შორის, რაც, რაღა თქმა უნდა, უეჭველს სარგებლობას მოიტანს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 ოქტომბერი

პეტერბურგი. მაღალ ყოვლად სამღვდელოს პალლადის ცვლილება არ ეტყობა, სიცხე და პულსი ზომიერი აქვს.

კონსტანტინეპოლი. ცუდის ამინდისა გამო გემმა „ჰოგენცოლლერნა“, რომელზედაც იმპერატორი ბრძანდება, დარდანელში შესვლა დაიგვიანა.

რეთიმნო. ქალაქში სრული წესიერება და მშვიდობიანობაა. მხოლოდ რამოდენიმე ქრისტიანთა ოჯახი გავიდა. რუსების ჟანდრები კანონიერს პოლიციის მოხელეობას ასრულებენ. ნავთ-სადგურში სდგანან სტაციონერი „ალექსანდრე II“, კრეისერი „ჰერცოგი ედინბურგისა“ და ნავი „გრაზიაში“. ხმელეთის ჯარი საკმაოა, რომელსაც თან ექვსი ზარბაზანი აქვს. ჯარის უფროსმა სამოქალაქო გამგეობაც ჩაიბარა. ეს რაოდენიმე დღეა რაც ადმირალი სკრიდლოვი ქალაქში იმყოფება და თითონ ხელმძღვანელობს ოსმალეთის ჯარის გასვლის საქმეს, რომელიც დაიწყობა 8 ოქტომბერს. მუსულმანებმა ითხოვეს, რომ ქრისტიანეთაგან დაგვიფარეთ ოსმალეთის ჯარის წასვლის შემდეგო; ადმირალი შეჰპირდა, რომ თქვენს ქონებას ვერავინ შეეხება და სარწმუნოებრივს წესრიგს თავისუფლად აღასრულებთო. მოლები მეგობრულის თვალით უცქერიან რუსებს.

პარიჟი. ზღვათა სამინისტროში მართლდება ერთის დიდის გაზეთის სიტყვები, რომ ტულონში ოთხი ჯავშნიანი გემი მზადდება ომიანობის დროის შესაფერად და რაკი მზად იქმნება, ბრესტში გაგზავნიანო. ჯავშნიანის გემების ბრესტში წასვლის შესახებ ხმა დადის, რომ ამ გემების წასვლას კავშირი აქვს საფრანგეთისა და ინგლისის ეხლანდელს ერთმანეთთან დამოკიდებულებასო. ესეც-კი უნდა შევნიშნოთ, რომ მოლაპარაკების მშვიდობიანად დასრულება უფრო სჯერათ.

პეკინი. დედოფლის ბრძანებით ორი მოხელე დაინიშნა სავაჭრო საქმეებისათვის—ერთი შანხაისთვის და მეორე ხანკოუსთვის. ინგლისის ელჩს წარუდგინეს კმაყოფილი მოხსენება იმის შესახებ, რომ იმპერატორი კარგად არისო.

ბერლინი. „ჩრდილო გერმანიის გაზეთი“ ამტკიცებს, რომ იმპერატორ ვილჰელმის მოკვლა მართლა ჰქონდათ განზრახულიო და დასძენს, რომ იმ საბუთის ქაღალდებიდგან რომლებიც უპოვნეს დაპატიმრებულთ, ნათლადა სჩანს, რომ განზრახვა ჰქონიათ იმპერატორის მოკვლისა.

წერილი რედაქციის მიმართ

—

ულრმესს მადლობას ვუცხადებ პატივცემულს ბ-ნს იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და სოფ. ნატოხაოს (სენაკის მაზრა) ახლად დაარსებულ სასწავლებლის ღარიბ-მოსწავლეებისათვის დასარიგებლად გამომიგზავნა მის-მიერ შედგენილი წიგნის „Русское Слово“-ს პირველი ნაწილის 20 ცალი, ღირებული 8 მ.—ამ სასწავლებელში სწავლობენ ფრიად ღარიბნი და უდედ-მამო ბავშვები, რომელთაც შეძლება ნებას არ აძლევთ წიგნები იყიდონ და არც ჩვენა გვაქვს იმდენი შეძლება, რომ ყველა ესენი დავაკმაყოფილოთ. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვ ყველა ქველმოქმედს, რომელსაც ამ გვარ საქმისთვის გული შესტკივა, წიგნებით თუ სხვა სასწავლო ნივთებით შემწეობა აღმოგვიჩინოს. ჩვენი ადრესი: ახალ-სენაკი.

ს. ნატოხაოს სამრევლო სკოლის მასწავლებელი ტრიფონ კალანდარიშვილი.

განცხადებანი

აღმასრულებელი კომისია, რომელსაც ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა და წარმოება აქვს მინდობილი, იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს ამ რკინის გზაზედ იმსახუროს, შეიტანონ კომისიაში ამის შესახები განცხადება 15 ოქტომბრამდე, ამასთან უპირატესობა მიეცემა იმათ, ვინაც წინად ამ ცხენის რკინის გზაზედ უმსახურია.

15 ოქტომბრიდგან კომისია თხოვნებს აღარ მიიღებს და მოსამსახურეთა რიცხვი შევსებულ იქმნება იმ კანდიდატებთაგან, რომელნიც კომისიასა ჰყავს აღნიშნული. განცხადებებს მიიღებს გამგეობის წევრი ვერმიშევი აღმაშენებელს განყოფილებაში.

(3—6.—1)

Т-во БРОКАРЪ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ПАРФЮМЕРІИ
„Персидская сирень“
О-де-колонъ.
Духи. ❋ Мыло.
Просимъ остерегаться поддѣлокъ.
(11—3—5)
НАСТОЯЩ.
ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ
БРОКАРЪ и К°

Дозволено цензурою, 7 го Тифлис Октября 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე